პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 32 (6097)

1978 წ. 14 თებერვალი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



# საპატიო ჯილდო ჩვენს რესპუბლიკას

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის შრომელებმა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე დიდი ოქტომბრის 60 წლისთავი და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება აღნიშნეს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში მოპოვებული შემდგომი წარმატებებით. უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წარმოების მოცულობისა და ეფექტიანობის ზრდა. თანამიმდევრულად სრულდება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პროგრამა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:

მოკავშირე რესპუბლიკები

1977 წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმატებისათვის

რუსეთის სფსრ
უკრაინის სსრ
ბელორუსიის სსრ
უზბეკეთის სსრ
საქართველოს სსრ
აზერბაიჯანის სსრ
ლატვიის სსრ
სომხეთის სსრ

დაჯილდოებულ ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის არის აჭარის ასსრ..

• • •

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებმაც განიხილეს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისთვის გაშლილი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებების შედეგები, გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:

საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ქალაქი თბილისი
ქალაქი ქუთაისი
აბაშის რაიონი
მახარაძის რაიონი
თერჯოლის რაიონი

დაჯილდოებულთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვ.



ძიუდოისტთა თბილისის ტრადიციული IX საერთაშორისო ტურნირი

ს უ რ ა თ ზ ე: გასულ კვირას გამართული ორთაბრძოლების ერთ-ერთი მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

(ტურნირისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).





თაობათა ესტაფეტა

# დაუვიწყარი სამი საათი

რეპორტაჟი

თბილისი, საქარხნო რაიონი, 117-ე საშუალო სკოლა.

პაწაწინა ეზოში შეკრებილა დიდ-პატარა. შემოსასვლელ ჭიშკართან სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი გოგონები ჩამწკრივებულან და ცეროდენა თითებით მიხაკის კონები ჩაუბღუჯავთ.

ელიან, მოუთმენლად ელიან...

...აი, ისინიც გამოჩნდნენ, ქართული სპორტის რაინდები, დიდი რუდუნებითა და შრომით რომ ქმნიდნენ იმას, რითაც დღეს ასე ვამაყობთ, მათ შორის ახალგაზრდებიც არიან და თმაშევერცხლილებიც. მხარდამხარ მოაბიჯებენ, მხნედ და ამაყად, სპორტული პეროვნებითა და სიმსუბუქით, როგორც სადღესასწაულო პარადზე. ოლონდ ესაა, უშეღავათო შერკინებებში მოპოვებული ნადავლი არ უმშვენებთ გულმკერდს... დღეს მათ ჩვენს მომავალთან — მოსწავლეებთან აქვთ შეხვედრა. ერთ-ერთი მათგანი თავადაც მოსწავლეა, ევროპის თასით ხელდამშვენებული ახლახან დაბრუნდა იუგოსლავიიდან. ალბათ იცანით — ნანა იოსელიანი, ჩვენი სიამაყე და იმედი. ვიქტორ სანეევიც აქაა, სამი ოლიმპიადის გმირი. ისინი საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატები არიან. აი, ბორის პაიჭაძე და გაიოზ ჯეჯელავა — ქართული ფეხბურთის ორი ბერმუხა; ნიჭიერი ხელბურთელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ამბერკი ტაბიძე, ქართული სპორტის ამაგდარი გიორგი მერკვილაძე ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა: მასაც გოგო-ბიჭებისკენ მოუხარია. სტუმართა შორის ვხედავთ ჩვენი სპორტის ხელმძღვანელ მუშაკებს, პარტიის საქარხნო რაიკომის, რაიაღმასკომისა და განათლების განყოფილების წარმომადგენლებს.

ერთმანეთში ირევა მისალმებები, ყვავილები, ოვაციები...

შეხვედრა სკოლის სპორტულ დარბაზში გრძელდება, ფიზკულტურის მასწავლებელი გურამ მორდულაშვილი საჩვენებელ გაკვეთილს ატარებს მეხუთეკლასელებთან, შემდეგ თავიანთ ხელოვნებას აჩვენებენ ახალბედა ტანმოვარჯიშეები: თეკლე ივანიშვილი, ადელია სუხოვა, თამარ კურეგიანი.

სკოლის დირექტორი ნელი კობახიძე საქტო დარბაზში ეპატიჟება სტუმრებს.

— ვიქტორ სანეევი, ნანა იოსელიანი, ბორის პაიჭაძე... — შეკრებილთა ტაშის გრიალში იკარგება დირექტორის ხმა.

საყვირის ხმაზე შემორბიან პიონერები, ალისფერ ყელსახვევებს უკეთებენ ძვირფას სტუმრებს და გერმანე ტიტოვის სახელობის რაზმეულის საპატიო წევრებად ირჩევენ.

პიონერებს კომკავშირელები ცვლიან.

— ვფიცავთ, რომ ვიქნებით მოწინავენი სწავლაში, შრომასა და სპორტში! — გაისმის სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის, ანსამბლ „მზიურის" წევრის ლია ხორბალაძის წკრიალა ხმა.

— ვფიცავთ! — გუგუნებს დარბაზი.

შეხვედრა გრძელდება. სტუმართა მაგიდა ბარათებით ივსება, კითხვებს ბოლო არ უჩანს. აინტერესებთ, რომელ გამარჯვებას ანიჭებს უპირატესობას ვიქტორ სანეევი, როგორ წარმოუდგენია ბორის პაიჭაძეს საქართველოს იდეალური ნაკრები ფეხბურთში; ნანა იოსელიანის მწვრთნელის ელიზბარ უბილავას აზრით, რითაა გამოწვეული ქართველ მოჭადრაკე ქალთა ბრწყინვალე გამარჯვებები; როგორია მაია ჩიბურდანიძის შანსები პრეტენდენტთა მიმდინარე ფინალურ მატჩში... და ისინიც პასუხობენ; იხსენებენ განვლილი ბრძოლების პერიპეტიებს, სპორტული ბიოგრაფიის საინტერესო მომენტებს.

ტრიბუნაზე ადის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე, დოცენტი ავთანდილ ციბაძე. სპორტულ თემაზე წაკითხულ მის ლექციებს ყურადღებით ისმენენ შეკრებილები. საბჭოთა სპორტსმენის მორალურ სახეზე საუბრობს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოთარ დიდებულიძე.

...შეხვედრა დასასრულს უახლოვდება. სტუმრები მადლობას უხდიან მასპინძლებს გულთბილი მიღებისთვის, ისინი კი, თავის მხრივ, კმაყოფილებას გამოხატავენ ამ დაუვიწყარი დღით მიღებული სიამოვნების გამო და მომავალი ურთიერთობის სურვილს გამოთქვამენ.

სულ სამიოდე საათს გაგრძელდა ეს შეხვედრა-ზეიმი. სამი საათის განმავლობაში თვალებში შესციცინებდნენ ნანატრ სტუმრებს თბილისის 117-ე სკოლის გოგო-ბიჭები. ვინ იცის, რამდენ მათგანს დაებადა სპორტში მეცადინეობის სურვილი. იქნებ მათ შორისაც არიან მომავალი სანეევები და იოსელიანები?!

არიან, ნამდვილად არიან!

ე. ბერიშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ფიცს დებენ კომკავშირელები (ზემოთ); ნ. იოსელიანი ახლად შეძენილ მეგობრებთან; საჩვენებელ გაკვეთილზე.

## თამაში არ შედგა

კვირას ბად-კისინგენში (გფრ) დანიშნული იყო ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალური მატჩის IX პარტია. მაგრამ იგი არ შედგა. კუშნირმა პირველად აიღო „ტაიმ-აუტი".

IX პარტია უნდა გაიმართოს დღეს, 14 თებერვალს.

ამჟამად მატჩის ანგარიშია 5:3 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. სათამაშო დარჩა ექვსი პარტია.

## საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 14, 15, 16 თებერვალს დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

# ცხოვრება წინ გვისწრობს

ბიდევ ერთი წელიწადიც და შესრულდება 100 წელი მას შემდეგ, რაც ჭიათურაში, ამჟამად რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრში პირველად დაიწყეს მრეწველობისთვის ძვირფასი ნედლეულის — მარგანეცის მოპოვება.

სპორტი „შავი ოქროს" ქალაქში იმთავითვე უყვარდათ. „ქართული ფეხბურთი — ქართული მარგანეციდან დაიწყო". ეს ფრაზა ამოღებულია სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის პაიჭაძის წიგნიდან „წლები და მატჩები".

მართალია, ქართულ ფეხბურთს დასაბამი ფოთში მიეცა, მაგრამ ამაში მნიშვნელოვანი როლი ჭიათურის მარგანეცმა შეასრულა. საქმე ის არის, რომ „შავი ოქრო" სწორედ ფოთის ნავსადგურიდან გაჰქონდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ექსპორტიორთა შორის იყვნენ ფეხბურთის სამშობლოს — ინგლისის მკვიდრნი, რომლებმაც ფოთელებთან ფეხბურთის პირველი მატჩი ჩაატარეს. მალე სპორტის ეს უმშვენიერესი სახეობა, საქართველოს ყველა კუთხეში და, მათ შორის, ჭიათურაშიც შეიყვარეს. სხვადასხვა დროს აქ არსებობდა ფეხბურთელთა გუნდები „სამთოელი", „კიმი", „ქართული მარგანეცი", „რუდა"...

ამ დროისთვის ჭიათურაში ხშირად ეწყობოდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. აი, ერთ-ერთი განცხადება გაზეთ „ისარიდან" (1907 წ. № 125): „კვირას 10 ივნისს და ორშაბათს 11 ივნისს, კავკასიის უძლეველი ფალავნის ნესტორ ესებუას თაოსნობით ჭიათურაში გაიმართება დიდი საინტერესო ქართული ჭიდაობა".

ენთუზიასტი სპორტსმენის დ. სვანიძის თაოსნობით 1923 წლიდან ჭიათურაში ფიზკულტურას ორგანიზებული სახე მიეცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან მასშტაბებს მან მაღაროელთა ქალაქში ბოლო წლებში მიაღწია.

**ჭიათურის** ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაზე, მის პერსპექტივაზე გვესაუბრა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **გაიოზ ნოზაძე:**

— ძნელია ყველაფრის დაწვრილებით გახსენება, თუ როგორ გაიზარდა და დამშვენდა უკანასკნელ წლებში მემაღაროელთა ქალაქი, ჩვენთან სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, მშრომელებისა და მათი შვილების განკარგულებაშია სპორტკომბინატ „მაღაროელის" ჩინებული კომპლექსი. მაგრამ, როგორც იტყვიან, ცხოვრება წინ მიდის — დღეისათვის ეს სპორტული ნაგებობა გაზრდილ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს.

მალე კარგ. საჩუქარს მიიღებენ ნაგუთის დასახლების მცხოვრებნი: შესრულდება ბოლო სამუშაოები და მწყობრში ჩადგება ფეხბურთის კეთილმოწყობილი სტადიონი.

განზრახული გვაქვს რესპუბლიკის სპორტკომიტეტთან და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით პირველი სექტემბრიდან მე-5 საშუალო სკოლაში სპორტული პროფილის კლასები შევქმნათ. ამ ჯგუფში გავაერთიანებთ კარგი მონაცემებით დაჯილდოებულ ყმაწვილებს. ისინი ფეხბურთში ივარჯიშებენ.

ამჟამად პროექტდება და 1980 წლისთვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა დახურული სპორტული კომპლექსი 2000-მდე მაყურებლისთვის. აქ იქნება მოჭიდავეთა, მოკრივეთა, ძალოსანთა, აგრეთვე, სპორტული თამაშების დარბაზები, ბაზა რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებსაც უმასპინძლებს.

მალე ჭიათურას შეემატება ახალი კეთილმოწყობილი საშუალო სკოლა, რომელსაც სპორტული დარბაზიც (18×36) ექნება. განზრახულია ქალაქის ცენტრში მდებარე კალათბურთის მოედნისა და საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქცია.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა: „ამოცანა ის არის, რომ მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი სოფლად მძლავრი ბერკეტი გახდეს ახალგაზრდობის მშობლიურ სოფელში დატოვებისა. ამისთვის კი ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა სრულად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და უნარი, შევაყვაროთ მათ სისტემატური, რეგულარული სპორტული ვარჯიში".

და აი, სულ მალე — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, 1 მაისს სოფელ ზოდში საზეიმოდ გაიხსნება კეთილმოწყობილი დარბაზი და ღია სპორტული კომპლექსი. ამ ბაზის აგებაში სოფელს დიდად ეხმარება ზოდელთა დეპუტატი საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ნ. მეძმარიაშვილი. უახლოეს ხანში მშვენიერი სპორტული ბაზები დაამშვენებს ჭიათურის ზონის სოფელ ბერეთისას და „მარგანტრესტის" საბჭოთა მეურნეობას.

ჩვენს ქალაქში მრავალი ჯანმაგარი, ნიჭიერი ახალგაზრდაა. გულისხმიერი მწვრთნელის დახმარებით ბევრი მათგანი უთუოდ შეძლებს ასახელოს არა მარტო მშობლიური ქალაქი, არამედ რესპუბლიკაც. ჭიათურელ სპორტსმენთა გვარები რესპუბლიკურ ტურნირებზე აქაიქ გაიელვებენ ხოლმე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სპორტის ბევრ სახეობაში ჩინებული ბაზები გვაქვს, მაგრამ გვაკლია კვალიფიციური მწვრთნელები. ეს განსაკუთრებით მძლეოსნობას, ცურვას, ტანვარჯიშს ეხება. კარგი იქნება, თუ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს და ახალგაზრდა სპეციალისტებს ჭიათურაში გააწესებს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მათ მუშაობის ყველა პირობა ექნებათ.

„შავი ოქროს" ქალაქში მძლავრად შლის ფრთებს ფიზკულტურული მუშაობა. მალე მის წარმომადგენლებსაც ვიხილავთ საქართველოს ნაკრებ გუნდებში. ამის გარანტიას იძლევა ჩვენი ქალაქის მშრომელების, ახალგაზრდების მისწრაფება — უფრო მძლავრად გააჩაღონ მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, შეუნელებლად ამრავლონ მიღწევები სპორტში.

# ერთი დღე ჭიათურელ სპორტსმენებთან

•

მაღაროელთა ქალაქის ფიზკულტურელთა საქმიანობაზე მასალები მოამზადა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა **ოთარ კუსიანმა.**

# მასობრიობის გვერდით — ოსტატობა

**ჭიათურის** სამთომადნო კომბინატის დამხმარე წარმოებათა სამმართველოს (დირექტორი ზ. ჩხეიძე) საამქროებში სამუშაო დღე დამთავრდა. ირგვლივ სიმყუდროვემ დაისადგურა... მაგრამ ოციოდე წუთში უკვე სპორტული ბაზები ახმაურდა — სამმართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები ჩარხებთან გატარებული დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ მუხლისა და მკლავის გასაშლელად სპორტულ ბაზებზე ვარჯიშს შეუდგნენ...

1977 წლის 2 ივლისს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა: „არ უნდა იყოს საჭირო იმის თქმა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი შრომის ნაყოფიერების ზრდას, ვინაიდან მისი ყოველი პროცენტი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, მშენებლობის ტემპის უზარმაზარ ზრდას უზრუნველყოფს... მაგრამ განა ყველამ იცის, თუ რამდენად შეიძლება გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება ისეთი მძლავრი ბერკეტის ამოქმედების გზით, როგორიც არის ფიზიკური კულტურა?

მეცნიერებითა და პრაქტიკული გამოცდილებით დადგენილია, რომ შრომის ნაყოფიერება შეიძლება 5-10 პროცენტით და მეტად გაიზარდოს!"

ზემომოყვანილი სიტყვების მნიშვნელობა კარგად ესმით ამ დამხმარე სამმართველოს ფიზკულტურისა და სპორტის (მეთოდისტი ზ. შარიქაძე) მესვეურებს. სწორედ ამიტომ არის, რომ კოლექტივში სპორტის მიმდევართა რიცხვი საკმაოდ დიდია — 450 მუშა-მოსამსახურედან 320-მდე „განთიადის" წევრია, რომელთა შორის 300 ფიზკულტურელია. სამმართველოს კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ხელბურთის... (სულ 9) სექციაში 150-ზე მეტი სპორტსმენი ვარჯიშობს.

„სადაც მასობრიობაა, იქ ოსტატობაც არის" — ეს გამოთქმა პირდაპირ მიესადაგება ჭიათურის სამთომადნო კომბინატის დამხმარე წარმოებათა სამმართველოს ფიზკულტურულ კოლექტივს. აქ კარგად იცნობენ მუშა-სპორტსმენებს სპორტის ოსტატს ნ. ბერუჩევს (კლასიკური ჭიდაობა), პირველთანრიგოსნებს ზ. თაბაგარს (ხელბურთი), მ. ლომიძეს (ფრენბურთი), დ. ყაველაშვილს (მძლეოსნობა), ფრენბურთელებს ზ. ცქიტიშვილს, ო. ტყემალაძესა და სხვებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე კოლექტივი „განთიადის" საქალაქო პირველობის უცვლელი ჩემპიონია.

სამმართველოს ფიზკულტურულ კოლექტივში დიდი ყურადღება ეთმობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას. შარშან აქ 87-ის ნაცვლად 94 ნიშნოსანი მომზადდა...

დამხმარე წარმოებათა სამმართველოს ფიზკულტურელთა საქმიანობის გაცნობის შემდეგ, თვალი მათ საწარმოო მაჩვენებლებსაც გადავავლეთ: მოლოდინი გამართლდა — სპორტში მოწინავენი შრომაშიც მოწინავენი არიან.



# „მაღაროელი" ემზადება

**გუნდმა** სეზონი კარგად დაიწყო. სტარტზე გამართულ მატჩებს ზედიზედ იგებდა და მალე გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა. იმედმა იელვა. შორს, მაგრამ მაინც გამოჩნდა სანუკვარი მიზნის — „ა" კლასში გადასვლის შანსი. ასე გასტანა შუა სეზონამდე, მაგრამ რამდენიმე მოულოდნელმა მარცხმა სპორტსმენებს რწმენა შეურყია — ჭიათურის „მაღაროელს" „ა" კლასში გადასვლაზე ფიქრი წლევანდელ სეზონშიც გადმოჰყვა.

ორმა-სამმა ზედმეტად დაკარგულმა ქულამ გუნდს წინ გადაულახავი ზღუდე აღუმართა, მაგრამ განვლილ სეზონს უკვალოდ არ ჩაუვლია. მეორე საპრიზო ადგილმა ბიჭები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ „ძალა შესწევთ ქადილისა"... ამ რწმენას გუნდის ტრადიციებიც ამტკიცებს: იგი ხომ წლების მანძილზე თამაშობდა „ბ", მერე „ა" კლასში. მაღაროელთაგან სხვადასხვა დროს თბილისის „დინამოში" გამოდიოდნენ და გამოდიან მაღრაძე, წერეთელი, შელია, გოგოლაძე, სევასტოპულო...

ერთი სიტყვით, წინ საკმაოდ რეალური ამოცანაა. გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელს მ. შერგელაშვილს არც ის ავიწყდება, რომ დასახული მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელია თითოეული ფეხბურთელი კარგად მოემზადოს სეზონისთვის და გუნდის წევრთა შორის მტკიცე დისციპლინა და მეგობრული ურთიერთობა სუფევდეს.

„მაღაროელმა" კარგა ხანია დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება. ისინი გეგმის მიხედვით კვირაში 5-ჯერ ვარჯიშობენ. ჯერ მშობლიურ ქალაქში გადიან წვრთნას, შემდეგ საერთო ფიზიკური მომზადებისთვის ჭიათურის სამთომადნო კომბინატის მუშათა გამაჯანსაღებელ ბანაკს მიაშურებენ ბაკურიანში, მერე ისევ ჭიათურაში...

* * *

**სურათზე:** ჭიათურის „მაღაროელი" მორიგ ვარჯიშზე.

რ. ბუხრაშვილის ფოტო

# როგორ წაიშალა „თეთრი ლაქა"

**რინგის** კვადრატზე ორთაბრძოლაა გაჩაღებული. სპორტსმენები ტექნიკურად, გააზრებულად მოქმედებენ. რეფერი იშვიათად ერევა მოკრივეთა „საქმეში". რინგის კუთხეებში სეკუნდანტები დგანან და ყურადღებით ადევნებენ თვალს აღსაზრდელების პაექრობას.

გონგი... მოსწავლეთა 29-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილეებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. მსაჯებმა შედეგები შეაჯამეს. მალე რეფერმა ნორჩი მოკრივეები კვლავ ცენტრში იხმო. დიქტორი დამარცვლით აცხადებს: „ქულებით გაიმარჯვა... ვაშაძემ, ჭიათურა" და „შავი ოქროს" ქალაქის წარმომადგენელი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ადის.

...ჭიათურა კრივის რესპუბლიკურ რუკაზე კარგა ხანს „თეთრ ლაქად" მოსჩანდა. მართალია, წინათაც არსებობდა სექცია (ბოლოს 1966-67 წლებში), რომელსაც გამოცდილი მწვრთნელი ქ. აბაზაძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ სხვა ქალაქში მისი გადასვლის შემდეგ აქაური მოკრივეები, როგორც იტყვიან, ღვთის ანაბარა დარჩნენ. სასიამოვნოა, რომ ახლა სპორტის ამ ვაჟკაცურმა სახეობამ მარგანეცის ქალაქში მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

ჭიათურელი ახალგაზრდები კრივს 1974 წელს დაუმეგობრდნენ, მას შემდეგ, რაც ამ ქალაქში სამუშაოდ გამოგზავნეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი კრივში, თეიმურაზ ლორთქიფანიძე. ახალგაზრდა ენთუზიასტმა ძირითად საქმიანობასთან ერთად კრივის დანერგვასაც მოჰკიდა ხელი, მალე სექციას მრავალი მოყვარული მიაწყდა.

დრო ნელა გადიოდა. თეიმურაზი აღსაზრდელებს მონდომებით გადასცემდა კრივის საიდუმლოებას, ყოველ მოძრაობას.

...გულმოდგინე შრომამ ნაყოფი გამოიღო. ახალგაზრდა მწვრთნელის აღსაზრდელებმა პირველი საპრიზო ადგილები მოიპოვეს — ვაშაძე მოსწავლეთა 29-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონია, ვაშაძე და ტ. ასანიძე შესაბამისად მეორე და მესამე პრიზიორები გახდნენ. სხვადასხვა თანრიგის ნორმატივები შეასრულეს მ. ნეფარიძემ, ი. გოგოლაძემ, ა. ქამუშაძემ...

ჭიათურელ მოკრივეთა მწვრთნელს მუშაობის სახარბიელო პირობები როდი ჰქონდა. მოზარდები ერთხანს სკოლის დარბაზს აფარებდნენ თავშეფარებული, მერე პიონერთა სასახლეს... ამ დღეებში სპორტკომბინატ „მაღაროელის" კეთილმოწყობილ დარბაზში გადავიდნენ.

...დარბაზიდან მწვრთნელის ხმამაღალი ძახილები ისმის. იგი მრავალჯერ უხსნის ბიჭებს. ისინიც გულმოდგინედ უგდებენ ყურს მითითებებს და სპორტის ვაჟკაცური სახეობის საიდუმლოებას ეუფლებიან.

**გ. ბარჯაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძიუდოისტთა თბილისის ტრადიციული IX საერთაშორისო ტურნირი



## სოროზაძე — ჭიდაობა დამთავრდა

— მაისში ევროპის ჩემპიონატი, მერე მსოფლიოსი. ოლიმპიური თამაშებიც მაინცდამაინც შორს აღარ არის. — ასე დაიწყო ჩვენი საუბარი სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ივან სვიშოვთან. ტურნირის ბოლო დღე იყო, ის-ის იყო იწყებოდა მერვედფინალური შეხვედრები. — სერიოზულ შეჯიბრებებს სერიოზული სამზადისი უნდა უძღოდეს წინ. რა თქმა უნდა, სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ძალთა მოსინჯვის, სერიოზული ვარჯიშის სწორედ ერთ-ერთ ამგვარ მნიშვნელოვან ეტაპად გვესახება თბილისის საერთაშორისო ტურნირი.

სვიშოვთან საუბარს კვლავ დავუბრუნდებით, ახლა კი ამ სიტყვებს ერთსღა დავუმატებ. ნებისმიერი შეჯიბრება, სადაც მსოფლიო მასშტაბით ტონის მიმცემი ქვეყნები მონაწილეობენ, არ შეიძლება ფიქრისა და განსჯის სურვილს არ სტოვებდეს, არ შეიძლება ყოველივე იქ ნანახი და გაგონილი საქმიანი და ცხარე კამათის საგნად არ იქცეს. რაღა თქმა უნდა, რომ ესეც სავსებით ბუნებრივია.

ეს ოთხი დღე ჭიდაობის ტრფიალთა წრეში, სპორტის სასახლის ტრიბუნაზე, კულისებში, თვითონ სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და მსაჯებს შორისაც ერთობ ხშირად ახსენებენ იაპონელებს, ახსენებენ მორიდებითა და პატივისცემით. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძიუდოს ფუძემდებლები სწორედ ისინი არიან. უბრალოდ, ტატამის იაპონელი ოსტატები ჯერჯერობით მაინც ეტალონად რჩებიან. სულ ერთია, რაზე ჩამოვარდება სიტყვა — ტაქტიკაზე, ტექნიკაზე, ფიზიკურ მომზადებასა თუ მოყვარულის თვალით დანახულ თვით ჭიდაობის ესთეტიკურ მხარეზე. 49 შეხვედრიდან მხოლოდ 5 წააგეს იაპონელებმა (აქედან სამჯერ ქართველ ფალავანთა მიზეზით). შთამბეჭდავი შედეგია, მაგრამ საყოველთაო სიმპათიის მიზეზი, მარტო ამ მართლაცდა საგულისხმო შედეგის მომნუსხველობა არ არის. თითო წონაში თითო ძიუდოისტი გამოიყვანეს ჩვენმა სტუმრებმა, გუნდი არც დიდია და არც მცირერიცხოვანი — 7 სპორტსმენი და მწვრთნელები, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არც ერთ მათგანს იასუკი მორიკაკიდან დაწყებული იასიხარო იამასიტოთი და მწვრთნელებით გათავებული არ შეუბღალავს სპორტული ეთიკა. თითოეული მათგანი პირველყოვლისა სპორტსმენი იყო და მხოლოდ ამის შემდეგ გამარჯვებული ან დამარცხებული, თითოეული მათგანი ფაქიზად ეკიდებოდა და უფრთხილდებოდა სპორტსმენის, როგორც ერის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სახელსა და მოქალაქეობრივ სახეს. შესცქერი ამ მუდამ სასიამოვნო გარეგნობის ბიჭებს და ძნელად თუ არ დაეთანხმები აზრს, რომ დიდ სპორტსმენს, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, მხოლოდ უამრავ დადებით თვისებათა ერთიანი სინთეზი თუ კომპლექსი წარმოშობს.

რა თქმა უნდა, ასეთები ჩვენს სპორტშიც ერთი და ორი არ არის. ტატამზეც, მსაჯთა მაგიდასთანაც, მწვრთნელებსა და მაყურებელთა შორისაც საკმაოდ იყვნენ ადამიანები, შორს რომ გაიტანეს, სამაგალითოდ რომ აქციეს ქართველი სპორტსმენის სახელი, მაგრამ საუბარია არა ერთეულებზე, არამედ ყველაზე, ზოგადად.

თუმცა სიტყვა გაგვიგრძელდა.

უკანასკნელისწინა დღე იღბლიანი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთათვის; 71 კგ. წონით კატეგორიაში ოთხი მედლიდან სამი ქართველმა ფალავნებმა — ბერდია გუგავამ, თამაზ კარიაულმა და გელა სინჯიკაშვილმა დაისაკუთრეს. მონაწილეთა სიის სულ უბრალო შეთვალიერებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ეს შედეგი დიდ გამარჯვებათა რიცხვს მივაკუთვნოთ. ფრანგი გოტიე და იაპონელი გოტანდა, გერმანელი ლეხმანი და მოსკოველი ილინიჩი, ნევზოროვი და დვოინიკოვი — ევროპისა და მსოფლიო პირველობების, ოლიმპიური თამაშების მონაწილენი და პრიზიორები.

სსრ კავშირის თასის მფლობელი იუნიორთა შორის, ახლა თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულიც, ბერდია გუგავა ლენტეხის რაიონის სოფელ ლასკადურადან არის. ჭიდაობის ანბანს ანზორ ქურასბედიანმა გააცნო, მერე ომარ მერაბიშვილთან ვარჯიშობდა. 1973 წლიდან სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ბიძინა მაზიაშვილთან გადის წვრთნას. ბერდია უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია. სხვათა შორის კარიაულიც, ზურაბიანიც, ნუგზარიშვილიცა და კბილაშვილიც უნივერსიტეტელები არიან, რაც ამ უმაღლეს სასწავლებელზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობს.

გუგავა — ილინიჩის ფინალური ორთაბრძოლის დაწყებამდე ბიძინა მაზიაშვილს ვკითხე, თუ რას ელოდა ამ დუელისგან.

— პასუხის-გაცემაზე შეიძლება თავიც შემეკავებინა, ბერდიას მეტოქე დვოინიკოვი ან ნევზოროვი რომ ყოფილიყო. ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებს.

ამ შეხვედრის წინ ილინიჩმა სწორედ დვოინიკოვი დაამარცხა, ასე რომ გუგავას მეტოქე მთლიანად შიშველი ხელებით არ მისულა ფინალამდე.

პაექრობამ სულ 36 წამს გასტანა. ლამაზი გდება და მსაჯმა წმინდა გამარჯვების ნიშნად მაღლა შემართა ხელი. თუ არ ვცდები, არცერთი ფინალური ბრძოლა არ გამომდგარა ასეთი ხანმოკლე.

კულისებში ფრანგი მსაჯი მორის დელევლეზიე შემხვდა. „ბიენ, ჟეორჟიენ!" — მითხრა და ცერი შემართა. ეს ქათინაური თუნდაც იმიტომ იყო დასაჯერებელი, რომ უცხოელს და თანაც მსაჯს ეკუთვნოდა. ეს სწორედ ის დელევლეზიეა, რომელიც... თუმცა ამის თაობაზე თვით ჩვენი სტუმრის აზრს გავეცნოთ.

— მაყურებელმა რატომღაც გამოგარჩიათ.

ამას რომ ვეუბნებოდი, ტურნირის პირველი დღის საღამოს ვგულისხმობდი. მაშინ მონაწილეთა და არბიტრთა პარადის დროს ჩემი თანამოსაუბრის გვარის გამოცხადებას ტრიბუნა ერთი ამბით შეხვდა — ერთ-ერთ დილანდელ ორთაბრძოლაში ან მეტისმეტი სიმკაცრის, ანდა არაობიექტურობის გამო. კაცმა არ იცის, ვინ იყო მართალი, მაგრამ გულშემატკივარმა მაინც თავისებურად „დასაჯა" დელევლეზიე.

— საერთოდ ძნელია აუდიტორიის გულის მოგება, მით უმეტეს, მსაჯისთვის. ჩვენთვის, ჩვენი ხელობის კაცისთვის ეს ერთობ დიდი ფუფუნებაა. ათვალწუნებისთვის იქნებ მივეცი კიდეც საბაბი, ისე კი, — მორისს ეღიმება, — გამოუსწორებელი პატრიოტები ყოფილხართ. გამიგონია თქვენი და ბასკების ნათესაობის შესახებ, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ ერთმანეთს. ოღონდ, არ იფიქროთ, ამაში ირონიის ნატამალი ერიოს, უბრალოდ, მომწონს შენიანის ასეთი სიყვარულიცა და მხარდაჭერაც. მართლაც საოცარი მაყურებელია — სუსტს გულშემატკივრობს, ჭეშმარიტ ოსტატს პატივს სცემს. არა, მაინც ძნელი ყოფილა თქვენთან მსაჯობა.

— ეს ალბათ თქვენი ძირითადი პროფესია არ არის.

— ძიუდოს მწვრთნელი ვარ, ეგრეთწოდებული მოხეტიალე მწვრთნელი. ეს ერთი წელიწადია სამხრეთ საფრანგეთში ვიმყოფები, დარტანიანის სამშობლო გასკონიაში. ძიუდო დღეს ძალზე პოპულარულია ჩვენში, თითქმის მილიონი ფრანგი მეცადინეობს. თავისუფალი ჭიდაობა როგორღაც სულ უფრო ჰკარგავს ქომაგებს. ესეც ალბათ ძიუდოს დამსახურებაა, მაგრამ რას იზამ...

მორის დელევლეზიე 51 წლისაა. ჰყავს ორი შვილი. მსოფლიო ომის დროს მსახურობდა დე გოლის არმიაში. „ორმოცდაოთხი წლის ივლისში იმათთან ერთად იმყოფებოდა, ვინც ნორმანდიაში განთავისუფლების არმიის სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობდა.

— ალბათ ჭიდაობდით კიდეც.

— რა თქმა უნდა. 1961 წელს საფრანგეთის ჩემპიონიც ვიყავი. სპორტის ბევრ სახეობაში მივარჯიშნია, მაგრამ გამორჩეულად მაინც ძიუდო მიყვარს. ფეხბურთის დიდი გულშემატკივარიც გახლავართ. ახლა ფრანგული ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა და არგენტინაში უთუოდ თავისას იტყვის ჩვენი გუნდი. ისე, სიტყვამ მოიტანა და, ხომ არ იცით, როგორ დამთავრდა მატჩი ნეაპოლში?

მორისი იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებთა მატჩზე მეკითხებოდა. როცა ანგარიში შეიტყო (2:2), გაეღიმა და დაამატა — ეს უთუოდ წარმატებააო.

— დასანანია, რომ რუჟე და პარიზი არ მონაწილეობენ წლევანდელ ტურნირში.

— პარიზი სულ ორი კვირის წინ დაბრუნდა შეჯიბრებიდან, რუჟემ კი წელი იტკინა. თუმცა, არც ახალგაზრდების გამოცდაა ურიგო საქმე — ასეთი ძლიერი შემადგენლობის ტურნირები საკმაო იშვიათობაა. იჭიდაონ, ისწავლონ...

შაბათსვე გაირკვა 65 კგ. წონაში გამარჯვებულთა ვინაობაც. ერთდროულად ოთხი საბჭოთა სპორტსმენი ავიდა კვარცხლბეკზე — პ. პონომარიოვი, ნ. სოლოდუხინი, ვ. ელჩანინოვი და ა. კასაპი. ამ წონაში დიდ იმედებს ვამყარებდით სსრ კავშირის ჩემპიონსა და მსოფლიო პირველობის პრიზიორზე ო. ზურაბიანზე. თუმცა, ოლეგმა იაპონელ კიოსუკე სახარასთან გამარჯვებით ერთგვარად მაინც შეალამაზა მისთვის ერთობ არასახარბიელო საბოლოო შედეგი, ამ დღის კიდევ ერთი მოულოდნელობა იყო იაპონელთა მარცხი — ორივე ძიუდოისტი საპრიზო ადგილს მიღმა დარჩა.

დრამატულად დაიწყო კვირის ასპარეზობანი. დილის შეხვედრებში, როცა შოთა ჩოჩიშვილმა თავის ქვეჯგუფში ორი ბრძოლა მოიგო და ფაქტიურად გაინაღდა ადგილი მერვედფინალში, უნგრელ იმრე ვარგასთან მძიმე ტრავმამ ოლიმპიურ ჩემპიონს ხელი აალებინა შეჯიბრებაში შემდგომ მონაწილეობაზე. აბსოლუტურ კატეგორიაში საქართველოს გუნდი ფაქტიურად ერთი სპორტსმენის, ჯიბილო ნიჟარაძის იმედზეღა დარჩა. კარგად იასპარეზეს თავ-თავიანთ ქვეჯგუფებში მჩატე წონის ქართველმა ფალავნებმა. თექვსმეტ უძლიერესში მოხვდნენ გურამ ნაკანი, დავით ფიცხელაური, დიმიტრი გელიაშვილი და როსტომ ჩივაძე.

ის-ის იყო, უნდა დაწყებულიყო საღამოს შეხვედრები, როცა სსრ კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ივან სვიშოვს ვთხოვე თავისი მოსაზრებები გაეზიარებინა თბილისის საერთაშორისო ტურნირის შესახებ.

— ჩვენს ძირითად მეტოქეებად კვლავ იაპონელები რჩებიან. ძიუდოს იაპონურსა და ჩვენს სკოლას შორის სხვაობა, რა თქმა უნდა, დიდი არ არის, ახალიც ბევრი არაფერი შეგვინიშნავს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ილეთთა დახვეწილობაში. იაპონელი მოჭიდავე თუ ფლობს რომელიმე ფანდს, ბრწყინვალედაც ფლობს. ეს განსაკუთრებით შებოჭვის ტექნიკას ეხება.

— მსგავსი ტურნირები თითქმის ყოველთვის გულისხმობს ახალ სახელთა გამოჩენას.

— გუგავა, ნაკანი, გოგიჩაშვილი, კარიაული, ვერეტი. ტრავმის გამო ვერ იასპარეზა თამაზ ნამგალაურმა. ამ სპორტსმენზე დიდ იმედებს ვამყარებთ.

— თქვენი აზრით, რა აკლიათ ქართველ ძიუდოისტებს.

— ძიუდო ჭიდაობის ცალკე სახეობაა. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, და სხვაგვარად არც შეიძლება, საქმის ვითარება ასეთია: ადრე ქართველი მოჭიდავეები ერთგვარად ჩამორჩებოდნენ ტექნიკაში, თუმცა, ამ ნაკლს ბრძოლის ჟინითა და ეროვნული ჭიდაობის არსენალიდან მოხმობილი ილეთებით ინაზღაურებდნენ. დღეს იმდენად გაზრდილია ფიზიკური მომზადების დონე — საერთაშორისო დონეს ვგულისხმობ — რომ მარტო სპორტული ჟინით ბევრს ვერაფერს მიაღწევ. ამასთან თითქმის უცვლელი დარჩა თქვენი ბიჭების ტექნიკური აღჭურვილობა, ის, ასე ვთქვათ, წმინდა ქართულია. ეს კი საკმარისი არ არის. ქართველ ძიუდოისტებს არ უყვართ წოლელა მდგომარეობაში ჭიდაობა, არადა სწორედ იქ არის გამარჯვების ყველაზე მეტი და შეიძლება ითქვას, იოლი შანსი — შებოჭვა, მახრჩობელა ილეთი, მტკივნეული ილეთი. ყველა აქ ჩამოთვლილი, სხვას რომ თავი დავანებოთ, წმინდა გამარჯვებაა!

— როგორც ნაკრების მწვრთნელს, რა პრობლემები გაწუხებთ.

— იგივე, რაც ყველა მწვრთნელს — ახალგაზრდების მოძებნა, ძველების შენარჩუნება. ცუდი მდგომარეობაა 86 კგ წონით კატეგორიაში. აქ არც ძლიერი ვეტერანი გვყავს, ვერც ახალ სახელებს ვხედავთ.

საღამოს ორთაბრძოლებში პირდაპირ შავი დღე აყარა მეტოქეებს იასიხორო იამასიტომ. და საერთოდ, ამ დღეს გამართულ 7 შეხვედრიდან შვიდივე წმინდად მოიგო იაპონელმა. მოიგო ისე, რომ თითოეულ მათგანზე სულ ერთ-ორ წუთს ხარჯავდა. სამწუხაროდ ჯიბილო ნიჟარაძეს უკვე მეოთხედფინალში მოუწია მომავალ აბსოლუტურ ჩემპიონთან პაექრობამ და მიუხედავად სხვა ექვს შეხვედრაში ბრწყინვალე გამარჯვებისა, ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ნახევარფინალური შერკინება მოსკოველ ალექსანდრე ტიურინთან. იუკოს უნაკლოდ შესრულებული გდება და წმინდა გამარჯვება მოჰყვა.

უფრო დაძაბული გამოდგა მჩატე წონის მოჭიდავეთა შეხლა-შემოხლა. ფინალში გზა გაიკაფეს იაპონელმა იასუკი მორივაკმა და ევროპის 1977 წლის ჩემპიონმა კრასნოიარსკელმა ევგენი პოგორელოვმა. ნაკანი და ფიცხელაური მეოთხედფინალურ შეხვედრებში დამარცხდნენ.

ფინალურ ორთაბრძოლაში ორივე სპორტსმენი თავდაუზოგავად იბრძოდა. დასრულდა 7 წუთი და შეფასება თანაბარი აღმოაჩნდათ მეტოქეებს.

სპეციალისტების აზრით უპირატესობა იაპონელის მხარეს იყო. შეხვედრის არბიტრებმა გამარჯვება პოგორელოვს მიაკუთვნეს. ცოდვა გამხელილი სჯობსო, უნდა ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებაში თავისი, არც თუ სახარბიელო წვლილი ჩვენს მაყურებელსაც მიუძღვის. რა თქმა უნდა გულშემატკივრობა გულშემატკივრობაა, მაგრამ არა მგონია, ასეთმა მსაჯობამ და გულშემატკივრობამ ან ჩვენს სახელს შემატოს რამე, ანდა, თბილისში ჩამოსულ სტუმრებს დაუტოვოს სასიამოვნო მოგონება.

ერთი დეტალიც. ძალზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს ტურნირის ექიმებმა.

იაკირა ფელდმანი: — ტრავმები საკმაოდ იყო. მაგრამ საოცარია, დახმარებისთვის თითქმის არცერთ იაპონელ სპორტსმენს არ მოუმართავს. ერთი ორი ნაფხაჭნი, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევი არ არის. თუმცაღა საკვირველი ამაში არაფერია. თითოეული იაპონელი მოჭიდავე ორთაბრძოლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე იწყებდა მოთელვას. კარგად მოგეხსენებათ, რომ გახურებული ორგანიზმი ნაკლებად ემორჩილება ტრავმებს.

მაშ ასე, დამთავრდა თბილისის IX საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. მედლები დარიგდა, გუნდები თავ-თავის გზას გაუდგნენ. სამაგიეროდ დარჩა უამრავი საფიქრალი, არა ერთი და ორი კითხვა, რომელიც უთუოდ მოითხოვს პასუხის გაცემას ჩვენი მწვრთნელებისგან. დასანანია, რომ ქართველ სპეციალისტებს არ ჰქონდათ ტურნირის ყველა თუ არა, მნიშვნელოვანი შეხვედრების ფირზე გადაღების საშუალება. არადა გადასაღები მართლაც იყო.

3 ოქროს, 5 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა, იაპონელებმა — 3, 1 და 2. საქართველოს ნაკრებს 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. ადრე ჩატარებული რვა ტურნირთან შედარებით ეს არც ბევრია, არც ცოტა. ასე რომ, ჩვენი ძიუდოისტების წლევანდელი გამოსვლის შესაფასებლად ციფრები ბევრს ვერაფერს გეტყვის და ცხადია, იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს, ისევ სპეციალისტები იმსჯელებენ.

**ი. ბერიაშვილი.**

• • •







სურათებზე: თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულნი. ზევით — ბ. გუგავა, გ. სინჯიკაშვილი, თ. კარიაული (სამივე — მსუბუქი წონა); ქვევით — პ. პონომარიოვი (სსრკ, ქვემსუბუქი); ი. იამასიტო (იაპონია, აბსოლუტური), ე. პოგორელოვი (სსრკ, მჩატე).




# ყველა საგზური განაწილდა

ბაკურიანი, 12 თებერვალი (ტელეფონით). 1-5 მარტს ავსტრიაში გაიმართება ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება სსრ კავშირის ნაკრები, რომელსაც ადრეც ბევრჯერ მაღალი ადგილები დაუკავებია.

წლევანდელი ტურნირისთვის ქვეყნის პირველი გუნდის კანდიდატების ბოლო შესარჩევი ასპარეზობა ამ დღეებში ბაკურიანში გაიმართა. 20 კილომეტრზე ასპარეზობის შედეგებს უკვე ვიტყობინებოდით. ერთდღიანი შესვენების შემდეგ ჩატარდა ეგრეთწოდებული სპრინტერული რბოლა — 10 კილომეტრზე სირბილი, რომლის ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ ომსკელი ვ. ბარნაშოვი (სოფლის სპორტსაზოგადოების ნაკრები), რომელმაც საბოლოოდ 31.45,8 აჩვენა.

ამ 24 წლის სპორტსმენმა ჯერ კიდევ შარშან სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი. წლეულს პროფკავშირების საკავშირო თასი მოიგო და აი, ახლა სსრ კავშირის თასის მფლობელიც გახდა.

მას ოდნავ ჩამორჩა ოლიმპიური ჩემპიონი ნ. კრუგლოვი (შეიარაღებული ძალები) — 37.18,6. III ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ა. უშაკოვი, რომელმაც კრუგლოვთან 6 წამი წააგო.

მათი ჯობნა მხოლოდ ყველაზე სწრაფ ბიატლონისტს ნოვოსიბირსკელ ოლიმპიურ ჩემპიონს ა. ტიხონოვს („დინამო") შეეძლო, მაგრამ სროლაში უზუსტობამ იგი აიძულა IV ადგილს დასჯერებოდა.

ბოლო სახეობა გახლდათ 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტა. აქ უძლიერესი გამოდგა „დინამოს" კვარტეტი (მინსკელი მ. ლობანოვი, ნოვოსიბირსკელები ა. პეტროვი, ვ. ოჩნევი, ა. ტიხონოვი).

ბიატლონისტთა საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. პრივალოვმა დაასახელა გუნდი, რომელიც ავსტრიის მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა. ნაკრებში ჩაირიცხნენ: ნოვოსიბირსკელები ა. ტიხონოვი, ვ. ოჩნევი, ა. ნიკიფოროვი, ლენინგრადელი ა. უშაკოვი, გორკელი ნ. კრუგლოვი, მოსკოველი ა. ელიზაროვი და ომსკელი ვ. ბარნაშოვი.

# მხოლოდ მორბენლების ხარჯზე

ბაკურიანი, 13 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ზამთრის IV სპარტაკიადის ბოლო დღეები დაეთმო სათხილამურო ესტაფეტებში და სწრაფდაშვებაში ტურნირს. ქალები და გოგონები 4×5 კმ ესტაფეტაში ცდიდნენ ძალებს. ბოგდანოვკის ნაკრების ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ორივე ასაკში კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანა და, როგორც ქალთა შორის, ისე გოგონებში პირველობა მოიგო.

ამ რაიონის კვარტეტმა (ლ. გუბანოვა, ტ. სავჩენკო, ტ. ჩუჩმაევა, მ. კალმიკოვა) განსაკუთრებით კალმიკოვას კარგი სირბილის წყალობით (იგი მეოთხე ეტაპზე გამოდიოდა და დღის საუკეთესო შედეგი — 21.05 აჩვენა) თავისი რაიონის ნაკრებს კიდევ 70 ქულა მოუტანა (წინასწარ გიტყვით, ბოგდანოვკელებმა სპარტაკიადაში სულ 680 ქულა რომ მოაგროვეს და მესამე ადგილი დაიკავეს, მხოლოდ მორბენლების დამსახურებაა). II ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი — 1:35.12, III — სამხრეთ ოსეთის მოთხილამურეები — 1:52.05.

გოგონათა შორის გამარჯვებული ბოგდანოვკის გუნდის (რ. კურბატოვა, ს. ციბულკინა, ზ. ვიატკინა, ლ. ვლასოვა) შედეგია 1:42.0. მომდევნო ადგილები ერგოთ მესტიისა (1:47.43) და აჭარის სპორტსმენებს — 1:52.11.

ბოლო დღეს ჩატარდა ვაჟების შეჯიბრება 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში. ბოგდანოვკელებს არც აქ შეურცხვენიათ თავი. მართალია, ვაჟთა შორის ისინი (2:18.12) ჩამორჩნენ ბორჯომისა (რ. ზედგენიძე, ო. დიაკონაშვილი, ლ. სოლოიანი, ა. მოროზოვი — 2:13.23) და თბილისის გუნდებს (2:16.35), სამაგიეროდ, იუნიორთა შორის ამ რაიონის მოზარდებმა (კ. ტოკუზიანი, ს. გულიაევი, ვ. კალმიკოვი, ვ. ლადნოვი) იმარჯვეს — 2:29.30, რომლებმაც ბორჯომის სპორტსმენები 5 წუთზე მეტით ჩამოიტოვეს. III ადგილზეა მესტიის გუნდი — 2:38.53.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა 1950-მეტრიანი სწრაფდაშვების ტრასა მოაწყვეს, რომელზეც 14 კარი განლაგდა. ცხადია, ვაჟებისთვის ეს არავითარ სტანდარტებს არ შეესაბამება, ამიტომაც ორ-ორი დაშვების ჩატარება გადაწყდა. სტარტზე მოსკოვისა და საქართველოს სპარტაკიადების 108 მონაწილე შეგროვდა.

ბრძოლა უშეღავათო გამოდგა. საუკეთესო დრო აღმოაჩნდა მოსკოველ პ. ორლოვს, რომელმაც — 2.18,93 აჩვენა და თავისი ქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ფინიშთან მეორე იყო თბილისელი სპორტის ოსტატი ი. ნასყიდაშვილი („ბურევესტნიკი"). მან ორივე ცდა თითქმის ერთნაირად შეასრულა, ჯერ წამზომებმა 1.10,14 აღნიშნეს, მეორე ცდაზე — 1.10,15, საბოლოოდ 2.20,29, რამაც იოსებს რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოუტანა.

მომდევნო ადგილები ერგოთ თბილისელებს ლ. ბანდურს („დინამო") — 2.23,50 და ზ. მაკიევს („შრომითი რეზერვები") — 2.23,76.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის 24 სპორტსმენმა შეჯიბრებას თავი აარიდა სწრაფდაშვების თხილამურების უქონლობის გამო. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდნენ საქართველოს ნაკრების კანდიდატები ს. მიქაბერიძე, ა. სტეპანიანი და ა. ბანდური.

იუნიორთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ჯ. ფხაკაძე (თბილისი, „სპარტაკი") — 2.26,57, გ. ჯეირანაშვილი — 2.33,62, ი. დიაკონაშვილი (ორივე — ბორჯომი, „დინამო") — 2.34,06.

ქალთა შორის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა მოსკოველმა სპორტსმენმა მ. კონონოვამ — 1.14,57, საქართველოს მოთხილამურეებიდან საუკეთესო იყო გოგონათა შეჯიბრებაში გამარჯვებული თ. გელაშვილი — 1.15,60. ეს დღის მეოთხე შედეგი გახლდათ.

რესპუბლიკაში გოგონათა შორის მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები მ. კოზანაშვილი (1.16,97) და ფ. ფანჯაკიძე — 1.23.30. ქალთა შორის ჩემპიონია ც. კოზანაშვილი — 1.22,28. მეორე ადგილი ერგო თ. ბანდურს (ორივე — ბორჯომი, „დინამო") — 1.24,57, მესამე — თბილისის დინამოელს მ. კოზანაშვილს — 1.29,06.

შეჯამდა საქართველოს სპარტაკიადის საბოლოო შედეგები. ქალაქებს შორის ჩემპიონობა და გარდამავალი ჯილდო მოიგო ბორჯომის რაიონის ნაკრებმა, რომელმაც 1181 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის გუნდი (968 ქულა) და ბოგდანოვკის კოლექტივი (680).

სპორტსაზოგადოებებს შორის ყველაზე კარგად მომზადებული აღმოჩნდა „კოლმეურნე" — 2197 ქულა, II ადგილზეა „დინამო" — 630, III — „ბურევესტნიკი" — 477.

მ. ზაქარეიშვილი.

## კალათბურთი

შაბათს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების ჩემპიონატში შედგა ერთი მატჩი.

ლენინგრადში ადგილობრივი „სპარტაკი" შეჯიბრების ერთპიროვნულ ლიდერს ცსკა-ს შეხვდა. არმიელებმა დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეს — 106:80. გამარჯვებულთაგან თავი ისახელა ს. ბელოვმა, რომელმაც გუნდს 33 ქულა შესძინა. სპარტაკელთაგან საუკეთესო იყო სილანტიევი — 30 ქულა.

## ციგურები

### სადჩიკოვა მსოფლიო ჩემპიონია

**მომავალი** თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქ ლეიკ-პლესიდში (აშშ) დამთავრდა სპრინტერ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. 26 წლის სმოლენსკელმა მასწავლებელმა ლ. სადჩიკოვამ ციგურებით სწრაფრბენაში 174,67 ქულა მოაგროვა. ასპარეზობის მონაწილენი 500- და 1000-მეტრიან დისტანციებზე ორ დღეს ცდიდნენ ძალებს. სადჩიკოვამ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლის გარდა ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მცირე მედლები მიიღო.

ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მიეკუთვნა ბ. ჰეიდენს (აშშ) — 174,85, ბრინჯაო — პოლონელ ე. რის-ფერენსს — 177,485.

**მოსკოვის** „დინამოს" ხელოვნური ყინულის ბილიკებზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა შორის ციგურებით რბენაში. ოქროს მედალი წილად ხვდა ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს მოსკოველ ს. მარჩუკს, რომელმაც მრავალჭიდში 169,55 ქულა მოაგროვა, „ვერცხლი" ერგო გორკელ გ. ლესკინს — 172,458, „ბრინჯაო" — ლ. ლობანოვს (მოსკოვი) — 173,097 ქულა.

# ძნელ ტრასაზე

შვეციის ქალაქ ჰამარსტრანდის ხელოვნურ საციგაოზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ციგებით დაშვებაში. ვაჟებისთვის 1000-მეტრიან ტრასაზე 13 მოსახვევი იყო, ხოლო ქალებისთვის 900-მეტრიან დისტანციაზე — თორმეტი. ტრასა ერთობ სწრაფი გამოდგა: ზოგან სისწრაფე საათში 125 კილომეტრს აღწევდა, რამაც ბევრ გამოცდილ ოსტატს წონასწორობა დააკარგვინა და ბრძოლიდან გამოთიშა.

ქალთა შორის ჩემპიონი გახდა მ. დემლიაიტნერი (გფრ), ვერცხლის მედალი ერგო მოსკოველ ა. მაევსკაიას, ბრინჯაოსი — მსოფლიო ჩემპიონს, რიგელ ვ. ზოზულიას (ორივე — საბჭოთა კავშირი).

ვაჟთა შეჯიბრებაში დიდი უპირატესობით იმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა პ. ჰილდგარტნერმა (იტალია). მან ყველა ცდაში აჯობა მეტოქეებს. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ მოსკოველი გ. შიტოვი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ორადგილიანი ციგებით დაშვებაში ოქროს მედლები წილად ხვდათ ჰ. რინსა და ნ. ჰანსს (ორივე — გდრ).

## ჭადრაკი

### კარპოვს ელოდებიან

მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი მიწვეულია იუგოსლავიაში, ქალაქ ბუგოინოს დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ეს იქნება მისი უკანასკნელი რეპეტიცია მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ.

ბუგოინოში საასპარეზოდ მიწვეულნი არიან, აგრეთვე, დიდოსტატები ბ. სპასკი, მ. ტალი, ი. ბალაშოვი (ყველა — სსრ კავშირი), ლ. ლიუბოევიჩი, ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი, ე. ბუკიჩი, მ. ვუკიჩი (ყველა — იუგოსლავია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ბ. ლარსენი (დანია), რ. ჰიუბნერი (გფრ), რ. ბირნი (აშშ), ე. მაილსი (ინგლისი) და ი. ტიმანი (ჰოლანდია).

შეჯიბრება 26 თებერვალს დაიწყება.

### უძლიერესნი

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის უმაღლესმა საკლასიფიკაციო კომისიამ ყოველკვირეულ „64"-ში (№ 6) გამოაქვეყნა საბჭოთა ქვეყნის მოჭადრაკეთა ინდივიდუალური კოეფიციენტები (რეიტინგი), რომელთა გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია მათი შედეგები ბოლო სამი წლის მანძილზე (1978 წლის 1 იანვრამდე).

ყველაზე დიდი კოეფიციენტი აქვთ მსოფლიო ჩემპიონებს ა. კარპოვს — 2716 და ნ. გაფრინდაშვილს — 2408.

გთავაზობთ ამ სიაში მოყვანილ საქართველოს მოჭადრაკეთა კოეფიციენტებს: ვაჟები — თ. გიორგაძე — 2532, ე. გუფელდი — 2513, ბ. გურგენიძე — 2502, ე. უბილავა — 2482, გ. ზაიჩიკი — 2426, ზ. მიქაძე — 2399, ა. ბუსლაევი — 2380, ზ. სტურუა — 2335, ი. ჩიქოვანი — 2332, დ. ჯანოევი — 2320, ა. ბოკუჩავა — 2313, ა. შახტახტინსკი — 2233; ქალები — ნ. ალექსანდრია — 2348, მ. ჩიბურდანიძე — 2324, ნ. იოსელიანი — 2267, ნ. გურიელი — 2174, თ. ხუგაშვილი — 2161, ც. კობაიძე — 2149, ა. ჩაიკოვსკაია — 2129.

აღსანიშნავია, რომ დიდოსტატი თ. გიორგაძე თავისი ინდივიდუალური კოეფიციენტით სსრ კავშირში 23-ე მოჭადრაკეა. მან გაუსწრო ცნობილ დიდოსტატებს ი. ავერბახს (2515), ა. გიპსლისს (2513), ა. სუეტინს (2520), მ. ტაიმანოვს (2496), ს. ფურმანს (2518), რ. ხოლმოვს (2531) და სხვ.

# გმირის ხსოვნისა

თბილისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის გენერალ-მაიორ გ. მერკვილაძის ხსოვნის პრიზის გათამაშება წყალბურთში. ჯილდოს მოსახვეჭად იბრძოდნენ ბაქოს, ხარკოვის, თბილისის ნაკრები, აგრეთვე, თბილისელ იუნიორთა და ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. ტურნირის ინიციატორი გახლდათ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დირექცია.

შეჯიბრების საპატიო სტუმრები იყვნენ გ. მერკვილაძის მეუღლე ნინო და ქალიშვილები — ნათელა და ნინო.

კარგად გამოვიდნენ ტურნირში თბილისის ნაკრების წყალბურთელები. მათ თანამიმდევრულად დაამარცხეს ხარკოველები — 6:4, ბაქოელები — 10:5, თბილისელი იუნიორები — 11:6 და მომავალი ინჟინრები — 6:2. 8 ქულის დაგროვებით თბილისელებმა დამაჯერებლად დაიკავეს პირველი ადგილი. II ადგილზე გავიდნენ ბაქოელები (მათ მოუგეს თბილისელ იუნიორებს — 12:5, ხარკოველებს — 10:5 და მომავალ ინჟინრებს — 9:3), III — ხარკოველები (დაამარცხეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი 6:2).

შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები.

## წყალბურთი

ისინი დაიმსახურეს გალკინმა (ხარკოვი), სკაბუნმა (ბაქო), ისელიძემ და ტუკვაძემ (ორივე — თბილისი). ამიერიდან ტურნირი ტრადიციული იქნება და ყოველწლიურად ჩატარდება.

ტურნირის მონაწილენი შეჯიბრების ორგანიზატორთა განსაკუთრებული ყურადღებით იყვნენ გარემოსილნი. ისინი იყვნენ მცხეთაში, ჯვარზე, საგურამოს ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ინტერესით გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. გამარჯვების ძარღვი ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი...

ბ. ქვათაძე.

## მძლეოსნობა

დასასრულს უახლოვდება გაზეთ „იზვესტიას" პრიზების გათამაშების ზონალური ტურნირები. ერთი ასეთი შეჯიბრება, უკრაინის პირველობა ხარკოვში, სატრაქტორო ქარხნის მანეჟში ჩატარდა და საკმაოდ მაღალი შედეგებითაც აღინიშნა: დონეცკელმა გ. კოვტუნოვმა სამხტომში 16,69 მეტრი აჩვენა, 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში უჟგოროდელმა ა. ველიჩკომ — 5.32,2, 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ლვოველმა ლ. ვილგოტმა — 20.19,8. სამივე ეს შედეგი უკრაინის ახალი მიღწევაა.

კიევის არმიელმა ვ. იგნატენკომ და ზაპოროჟიელმა ქალმა თ. პროროჩენკომ 100 მეტრზე უკრაინის მიღწევა გაიმეორეს. შესაბამისად მათი შედეგებია 10,3 და 11,7 წამი. სიმაღლეზე ხტომა მოიგო ს. სენიუკოვმა — 218 სმ.

მოსკოვის მანეჟში გაიმართა რსფსრ-ს ზამთრის პირველობა, რომელშიც 50 გუნდის 400 სპორტსმენი მონაწილეობდა. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ს. მოლოტილოვმა (მოსკოვის ოლქი) 224 სმ დაძლია და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. 10.000 მეტრზე სიარულში იმარჯვა ვ. ცვეტკოვმა (ვლადიმირის ოლქი) — 41.19,2. 3000 მეტრზე რბენა მოიგო ვ. აბრამოვმა (არხანგელსკის ოლქი) — 7.59,3.

# დალგლიში — შოტლანდიელთა იმედი

როდესაც გამოჩენილმა ინგლისელმა თავდამსხმელმა კიგანმა „ლივერპულის" მესვეურებს განუცხადა, რომ გფრ-ის „ჰამბურგერ შპორტფერაინში" აპირებდა გადასვლას, ინგლისის მრავალგზის ჩემპიონის ქომაგებს თავზარი დაეცათ. მაგრამ სანამ „ლივერპული" კიგანის გარეშე თამაშს შეეგუებოდა, მის მწვრთნელებს ვილაცამ ბედნიერი იდეა მისცა — გლაზგოს „სელტიკიდან" შეეძინათ დალგლიში. ამ თავდამსხმელმა მალე დაიკავა კიგანის ადგილი, უფრო მეტიც, გულშემატკივრებს დაავიწყა კიდეც იგი.

ქენ დალგლიში 27 წლისაა, კარიერა შოტლანდიის მესამე ლიგის „კუმბერნულდ იუნაიტედში" დაიწყო. აქ იგი ნახეს „სელტიკის" სკაუტებმა (მოხეტიალე მწვრთნელებმა) და ნიჭიერი ჭაბუკიც შოტლანდიის ამ პოპულარულ გუნდში აღმოჩნდა. ეს იყო 1967 წელს, როდესაც დალგლიში 16 წლისა გახდა. რა თქმა უნდა, ჭაბუკი მხოლოდ ეჩვეოდა დიდ ფეხბურთს და თანაც აკვირდებოდა „სელტიკის" გამოჩენილი ოსტატების თამაშს, რომლებიც ამ წელს 5 ფრონტზე (!) იბრძოდნენ და ყველგან გაიმარჯვეს (მოიგეს ევროპის ჩემპიონთა თასი, შოტლანდიის ჩემპიონატი, შოტლანდიის თასი, ე. წ. ლიგის თასი და ქ. გლაზგოს თასიც). გავიდა 3 წელი, დალგლიში პირველ შემადგენლობაში გამოვიდა და მალე მისი წამყვანი მოთამაშეც გახდა.

1976-77 წლების სეზონი მას სამუდამოდ დაამახსოვრდა — „სელტიკი" შოტლანდიის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც, დალგლიში დიდი ალმაცლობით თამაშობდა.

და, აი, შოტლანდიელი ფეხბურთელი ინგლისის ჩემპიონ „ლივერპულში" ჩაირიცხა. აქ იგი დიდ სამუშაოს ასრულებს. თუ „სელტიკში" უფრო წინა ხაზზე მოქმედებდა, ახლა მინდვრის შუაგულში დაიხია და პარტნიორების თამაშს წარმართავს, ამავე დროს შეინარჩუნა სნაიპერის თვისებებიც.

რა თქმა უნდა, შოტლანდიის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს „ლივერპულის" ფეხბურთელს. მან ხომ ქვეყნის ბი-

## ფეხბურთი

რველ ნაკრებში 20 წლისამ ითამაშა, ბევრჯერ მიიღო მონაწილეობა ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ასპარეზობებშიც, დიდად შეუწყო შოტლანდიელებს ხელი არგენტინის საგზურების მოპოვებაში. დალგლიშის საიუბილეო, 50-ე გამოსვლა შოტლანდიის ნაკრებში შედგა უელსელებთან (2:0). შოტლანდიის ნაკრებში გამოსვლების რეკორდი (55 მატჩი) ეკუთვნის დენის ლოუს. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ დალგლიში სულ მალე გააუმჯობესებს ამ მიღწევას.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-38; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07679.